№ 192. სექტემბრის 5, ოთხშაბათი. 1866—1884 სექტემბრის 5, ოთხშაბათი. № 192.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზარეოვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисѣ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტროკონაზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს; დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი სექტემბრის 1-დან წლის დაქლევაქდე 4 მანათი.

გამოვიდა და ისყიდება
„ДЕДАНИ“
ქართული წერისა

შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან. ფასი ექვსი შაური. კინტ ერთად იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალისა, ლედანი დაკომობა სუთ შაურად. მასწავლებელთათვის დარიგებით (რომელიც იბეჭდება) ეღირება ორ აბაზად. დარიგების ფასი ცალკე სამი შაურია. (3—2)

თბილისი, სექტემბრის 3-ს.

ჩვენის გაზეთის გუშინდელ ნომერში ჩვენ დაებეჭდეთ მოკლე ცნობა იმ განკარგულებაზედ, რომელიც უფწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორს მოუხდენია საისტორიო და საარხეოლოგიო ნივთებისა და სახსოვართა შესახებ. ამ გვარიე განკარგულება მოუხდენია შინაგან საქმეთა სამინისტროს და მიუწერია გუბერნატორთა მიმართ, რომ აღეკრძალოს წარამარად ძებნა და თხრა საარხეოლოგიო ნივთთა მოპოვებისათვის ყოველს მოუმზადებელს და არხეოლოგიის უცოდინარ პირთა; ამ გვარი ძიებისა და თხრის მიზეზით დიდი ვნება ეზარალი ეძლევა ჯერ თვითონ ძველ ნაშთთა და მერმედ თვით მეცნიერებას, რადგან უკონტროლოდ წარმოებული ძებნისა და თხრის გამო ნივთები უვარდება ხელში სხვა-და-სხვა კერძო პირთ, რომელნიც ჰყიდიან სამ ღვარ გარედ ძველად გასამეტებელს საარხეოლოგიო ნაშთს და ამითი დიდს დასაკლისს შესძენიან და ძვირფასს მასალას აცლიან ხელიდამ მეცნიერებას.

ობერ-პროკურორის პობედონოსცევის განკარგულება, სხვათა შორის, ჩვენს მღვდელ-მთავრის პაელესადმიც მოწერილი, გამოწვეულია შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულების ძალით, რათა ამ გვარად საერო და სასულიერო მთავრობამ შეწყობილად ერთ-გვარი პლანით იმოქმედოს ამ საქმის შესახებ.

ჩვენი ქვეყანა ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელსაც არხეოლოგიური სიუხვით ვგონებთ, ვერა ქვეყანა ვერ შეედაროს. მისი ნიადაგი მოფენილია მრავალ-გვარის ტაძრებით, ციხე-კოშკებით, რომელთ კედლები აჭრელებულია ზედწარწერებით პირვანდელი საუკუნეებიდამ დაწყებული მე-XVIII საუკუნემდე ძრ. შემდეგ. წარწერანი შეეხებიან სხვა-და-სხვა ისტორიულს პირს, შემთხვევას, ხშირად მსოფლიო ისტორიის ფაქტებს და დაწერილნი არიან ქართულს, სომხურს, ბერძნულს და ლათინურს ენაზედ. თვით საარხეოლოგიო ნაშთნი და შენობანი დღევანდლამდე სავსენი არიან სხვა-და-სხვა საარხეოლოგიო საპოვარითა, საეკლესიო ნივთებითა, ხატებითა, ხელ-ნაწერი ბიბლიოთეკებითა, რომელნიც მრავალ წარწერილობასა და მინაწერებს წარმოადგენენ და მეცნიერებისათვის ძვირფასს მასალას შეიცავენ. თვით მიწა და ნიადაგი რამდენიმე ადლის სიღრმეზე წარმოადგენს არხეოლოგიურ სიმდიდრით სავსე სალაროს, რომლის ამოთხრა, გამოშკარავება და გამოკვლევა ნათელს მოჰფენდა არა თუ მარტო ადგილობრივ ხალხთა ძველს თავ-გარდასავალს, არამედ კაცობრიობის წარსულსაც.

კავკასია წარსულში ჰგავდა ერთს დიდს სახლს, რომელშიაც სხვა-და-სხვა ენათა და ნათესაეთა წარმომადგენელნი ტომნი და ელნი ჰინჰველის გორასავით ზედ ელალებოდენ ერთმანეთს, ბუზსავით ირეოდენ და ცხოვრებისათვის ბრძოლაში იქლიტებოდენ, ხოლო ამ ამოხოცილთ სახსოვრად შთებოდენ მიწაში საფლავები, ანუ დოლმენები, აკლდამები და გორხანები, რომელთ გამოკვლევა მნიშვნელობით სავსე ინტერესს წარმოადგენს, რადგან მათის შემწეობით მთელი მოთხრობა შეიძლება აღადგინოს კაცმა ქვეყნის ზურგად აწ გამქრალს ტომთა ენაზე, ზნეზე, ჩვეულებაზე, ლხინზე, ჭირზე, მოღვაწეობაზე და სხვ. და სხვ.

ადვილი მისახვედრია, რომ ამ გვარ ქვეყანას არხეოლოგიურის მხრით როგორც შინ, ისე გარედ მრავალი მუშტარი ჰყავს და ეს მუშტარი ან თავად ან სხვის შემწეობით სცდილობს, რაც შეიძლება ძვირი კოლექცია მოგოჭოს და იქით უყოს მას თავი, საიდანაც თვით ალლახიც ველარ დაიბრუნებს.

ამას გარდა, ხალხის უმეცრებისა გამო, სხვა-და-სხვა მოგზაურთა დაუნდობლობის მიზეზით, მრავალი საარხეოლოგიო ნაშთი იკარგება, ფუჭდება და ირღვევა. ეს გარემოება არის მიზეზი, რომ დღეს მთავრობა მიუწერს გუბერნატორებს აღუკრძალონ სხვა-და-სხვა კერძო პირთ, რომელთაც ამ საქმის შესახებ არავითარი მინდობილობა და მომზადება არა აქვთ, საარხეოლოგიო ძებნასა და თხრას გამოეკიდონ ყოვლის მხრით უკონტროლოდ.

მთავრობის განკარგულების ძალით ყოველი ნივთი, საარხეოლოგიო ნაშთი, მოპოვებული შემთხვევით, ანუ მცოდნე პირისაგან აღმოჩენილი, ან ამოთხრილი, უნდა წარედგინოს ადგილობრივ ადმინისტრაციას ანუ სასულიერო მთავრობის წარმომადგენელს, რომელიც ყოველსაევე ამის შესახებ წარუდგენს ვრცელს მოხსენებას რუსეთის საიმპერატორო საარხეოლოგიო კომისიას, ან თუ მოსახერხებელია და შესაძლებელი, თვით მოპოვებულს განძსაც გაუგზავნის გასაჩხრეკად და განსახილველად.

რამდენადაც ჩვენ მოგეწონს და თანავუგრძნობთ მთავრობის განკარგულებას იმის შესახებ, რომ ყველას წარა-მარად არ შეეძლოს საარხეოლოგიო ძიება, თხრა და მოპოვება ნივთებისა თავის საკუთრებად, რომელსაც იგი, რასაც უნდა იმას უზავს: ვისაც უნდა მისცემს, ვისაც უნდა მიჰყიდის, სადაც უნდა გაჰგზავნის;—იმდენადვე თანავუგრძნობთ იმ აზრსაც, რომ ყოველივე მოპოვებული და შეძენილი საარხეოლოგიო ნივთი განიხილებოდეს, აღიწერებოდეს და მეცნიერულად გამოიკვლევოდეს იმისთანა დაწესებულების მიერ, როგორიც არის საიმპერატორო საარხეოლოგიო კომისია რუსეთისა. მაგრამ ჩვენის აზრით, უფრო სასარგებლო იქნებოდა, როგორც მეცნიერებისათვის, ისე თვით ქვეყნისათვისაც, რომ ადგილობრივნი მეცნიერნი მოიწოდებოდენ ამ საქმისათვის, მათ ჩაბარებდენ კონტროლს ყოველ გვარ არხეოლოგიურ მუშაობისას, როგორც ეს თვით თბილისის მე-V არხეოლოგიურმა კრებამაც საჭიროდ დაინახა, რათა ამათ შეიმუშაონ ადგილობრივი ისტორია და არხეოლოგია, დააარსონ მუზეუმი, ანუ განყოფილება მუზეუმისა, დაიცვან ყოველივე ქვეყნის კუთვნილი განძი, ხოლო მათი აღწერა, მეცნიერული გამოკვლევა და საზოგადოდ თავიანთი შრომანი ჰბეჭდონ და უგზავნონ რუსეთის საიმპერატორო საარხეოლოგიო კომისიას.

ამით, ჩვენ გვგონია, მთავრობის სურვილიც შესრულდება და ადგილობრივის მეცნიერების განცხოველებით, თვით რუსეთის საარხეოლოგიო მეცნიერება განვითარებასა და წარმატებაში შევა. რაც შეეხება თვით მაზრას, თემს, ანუ ქვეყანას, რომლის ნიადაგზედაც მომკილი იქნება საარხეოლოგიო ჭირნახული, იმისათვისაც ამ ჭირნახულის დაცვას, მოვლას და ხშირად ხილვას მუზეუმებში აღმზრდელი და გონების განმავითარებელი მნიშვნელობა ექნება. ყოველივე ეს შექმნის ადგილობრივს ისტორიას...

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

= რედაქციაში მოდიან და აღარ გვასვენებენ დრამატიული საზოგადოების კომიტეტის წევრნი,—გვითხარით, სადა სდგას თავსმჯდომარე თ. რ. ერისთავი, ან როდის შეგვკრეფავს, რომ თეატრის საქმისა ვიფიქროთ და მოვაგვაროთ რამეო. ხუმრობა იქით იყოს და ეს სექტემბერი დადგა კიდეც, რუსული წარმოდგენები დაიწყო და რას ფიქრობენ ან წევრნი ან თვით თავსმჯდომარე დრამატიული საზოგადოების კომიტეტისა?..

= წრეულს პირველ გიმნაზიაში შესვლის მსურველთა რიცხვი 247 ყოფილა, მათ შორის უარი უთქვამთ მიღებაზე ეგზამენის დაუჭერლობის, ან წლოვანობის გარდასვლის გამო 132 ყმაწვილისათვის. დანარჩენ 115 ყმაწვილში მიღებულია უმცროს მოსამზადებელ კლასში 45 (ამათში ქართველი 10-თია), პირველ კლასში 13. 15-ს კიდევ დაუჭერია კარგად ეგზამენი პირველ კლასში შესასვლელად, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო მხოლოდ კანდიდატებად ჩაურიცხავთ. მათ შორის ხუთს შეუძლიანთ, თუ მოისურვებენ, უფროსს მოსამზადებელ კლასში შევიდენ. უმცროსს მოსამზადებელ კლასში კანდიდატებად ჩარიცხულნი არიან 24.

= ამ სამის წლის წინად რუსის პედაგოგის სტოიუნინის ცოლს დაუფუძნებია რუსეთში საქალებო გიმნაზია, რომელშიაც ყოველ გვარი ჯილდო და სასჯელი უარ-ყოფილია; ასე გასინჯეთ, მოწაფეებს ბალებსაც კი არ უსმენ წარმატებისათვის, რომ მათ შორის ცილობა და შური არ აღიძრას. როგორც რუსულ გაზეთებში იწერებიან, ამ სასწავლებლის საქმე ჩინებულად მიდის თურმე.

= «ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲐ» გვატყობინებს, რომ ბ. ფონ-მეკკი, რომელიც ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ იყო რკინის გზის გასაყვანი ადგილების დასათვალიერებლად, დაბრუნებულა. როგორც ამბობენ, ბ. ფონ-მეკკის აზრით, გზა Ѳელავიდგან მუხრავანზედ და ᲑᲝᲛᲑᲝᲠᲘᲡ მთაზედ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოვიდეს და ამ უკანასკნელში ტონელის გაკეთება იქნება საჭიროვო.

═ საზოგადო საჯარო გარდასახადის შემოღების დროს კავკასიაში, ს.-პეტერბურგის უწყებათა სიტყვით, განძრახვა ჰქონიათ, სხვათა შორის, შეედგინათ მუსულმანებისაგან ახალი ცხენოსანი ჯარები და შეენახათ იგინი ერთის მხრით იმ ფულით, რომელიც დარჩებოდა ყუბანის, თერგის და დაღესტნის მილიციების გაუქმების შემდეგ, და მეორეს-მხრით იმ განსაკუთრებული ხარჯით, რომელსაც ჰფიქრობდენ დაედვათ კავკასიის მუსულმანებისათვის. ამ გარდასახადის დადება იმიტომ უნდოდათ, რომ კავკასიის მუსულმანებს საჯარო გარდასახადში ქრისტიანებთან შედარებით ბევრი შელავათი ეძლევათ. მმართებლობას ეხლა ეს აზრი შეუცვლია, არ უნდა ხარჯი დაადოს მუსულმანებს და სხვა წყაროებს იკვლევს ხსენებული ჯარების შესანახავად.

═ ნიჟეგოროდის ფურცელში ვკითხულობთ: «განცხოველებული ვერ არის იარმუკაზე ვერც სამხეარ-გარეთელი ვერც რუსეთის არაყისა და ღვინოების ვაჭრობა; შარშანდელზედ 25-30% ნაკლებად იყიდება, თუმცა წრეულაც იმაზედ ნაკლები არ მოსულა, რაც შარშან იყო მოტანილი. ყიზლიარის და შემახიის თეთრი და წითელი ღვინოების ვაჭრობა კი სრულებით სხვა ნაირად მიდიოდა. უკანასკნელი ორის წლის განმავლობაში ვერ იყო კარგი ღვინის მოსავალი ყიზლიარში, ამიტომ იქიდამ ძლიერ ცოტა ღვინო გამოჰქონდათ გასაყიდად და, რადგანაც ნიჟეგოროდის იარმარკაზედ აქამდინ ცოტა მოდიოდა, წრეულ ძლიერ აიწია მისმა ფასმა. რამდენიც ხანი გადის, იმდენი უფრო-და-უფრო დიდს ცილობას უწევენ ყიზლიარის ღვინოებს შემახიის ღვინოები; წრეულ შემახიის ღვინო 1,000 ბოჩკამდინ მოვიდა აქაურს იარმარკაზედ და გაიყიდა კიდეცა. ამას გარდა, წრეულ დერბენდის ღვინოც მოვიდა იარმარკაზე; ამ ღვინოების მოტანა ჯერ პირველია; ესენი ბევრად არ ჩამორჩებიან თავიანთ თვისებით ყიზლიარის ღვინოს; ამ ღვინის ვედრო 20 კ. ნაკლებად იყიდებოდა ყიზლიარის ღვინოზედ, ე. ი. როდესაც ყიზლიარის ღვინო იყიდებოდა ვედრო 3 მ. 30 კაპეიკამ 3 მ. 80 კაპეიკამდინ, შემახიის და დერბენდის ღვინოებს ყიდულობდენ ვედროს 3 მ. 10—60 კ.» ═

უცხოეთი.

ოსმალეთი. ვენის გაზეთებში იწერებიან, რომ კარგა ხანია, რაც არაბეთის პროვინციაში ზეჯაზში ხალხის მღელვარებაა; რამდენიც დრო მიდის, იმდენი უფრო-და-უფრო ძლიერდება ეს მღელვარება და სულთანის მმართებლობას ძლიერ აწუხებს ეს გარემოებაო. იემენი, დედა-ქალაქი ამავე სახელის პროვინციისა, სადაც 2000 კაცი ბარნიზონი სდგას, გარშემორტყმულია 8.000 აჯანყებული არაბითა. მთავრობამ მექქის გუბერნატორს უბძანა ჯარების გაგზავნა ხსენებულს ადგილას აჯანყების მოსასპობლად, მაგრამ იმან შემოუთვალა, რომ მისდამი რწმუნებული ქალაქებიც დიდს მღელვარებაში არიან და ამისათვის არ შეუძლიან მას არც ერთი კაცის გაგზავნა. სტამბოლში 8.000 კაცის გაგზავნას აპირობენ არაბეთში აჯანყების მოსასპობლადაო.

═

ავსტრო-ვენგრია. სექტემბრის 5 (ახ. სტ.) ვენის პოლიციას აღმოუჩენია სტამბა, რომელშიაც იბეჭდებოდა ამ ბოლოს დროს ანარხისტების ძლიერ გახშირებული პროკლამაციები, და ამასთანავე დაუტუსაღებია რამდენიმე სტამბის გამგე და ესრედ წოდებული «აღსრულებითი კომიტეტის» წევრნი. უკანასკნელი კანონის გამოცემის შემდეგ, რომლითაც დროებით გაუმდენ ავსტრიაში კონსტიტუციის ზოგიერთნი მუხლნი, ანარხისტები ცოტა-ხანს დაწყნარდენ ვენაში და პროპაგანდას ეღარა ჰბედავდენ; მაგრამ აგვისტოს დამდეგს კიდევ გამოჩნდენ ნიშნები მათ მხრივ ახალი აგიტაციისა; აგვისტოს 9-ს ისევ გამოსულა პირველი № გაზეთის მომაჯადოისა, რომელიც ანარხისტის მოსტის ორგანოს შეადგენს, და რამდენიმე ხნის შემდეგ, სახელდობრ, შემდეგ შტალმახერის სიკვდილით დასჯისა მუშებს დაურიგდათ პროკლამაციები. ოლრიე თხზულებას ეწერა, რომ ისინი დაბეჭდილნი არიან ვენის საიდუმლო სტამბაში. პოლიციამ დიდი ხანია მიაგნო ამ სტამბის კვალს და სექტემბრის 3-ს უცებ დაეცა მას. პოლიციას უპოვნია იქ ფრიად კარგად მოწყობილი საბეჭდავი მაშინა, მრავალი შრიფტი, აუარებელი აღკრძალული თხზულებები და დასაბეჭდად მომზადებული მე-2 № გაზ. მომაჯადოისა. იქვე დაატუსაღეს თურმე სტამბის პატრონები, ცოლ-ქმარი ბახლეონები, და აგრეთვე მათი ამხანაგები, ტილი და ჰიუბნერი, მაშინ, როდესაც შეეიდენ იგინი პოლიციის მიერ დაჭერილს სადგურში.

═ ბუშტის-ლლოიდი. სამთა იმპერატორთა ერთად შეყრის შესახებ იწერება, აღარავითარი ეჭვი აღარ არის, რომ ეს შეყრა უეჭველად მოხდებაო. შემდეგ ესევე გაზეთი ამტკიცებს, რომ იმპერატორების ერთმანეთის ნახვა თვით სკერნევიცაში კი არ მოხდება, არამედ იმის მახლობლად, ლოვიჩის კოშკში, რომელიც, ავსტრიის სამზღვარზედ იმყოფება, რკინის გზის სტანციის მახლობლად.

═

საფრანგეთისა და ჩინეთის საქმე. საფრანგეთის პალატის უკიდურესს მხარეს გადაუწყვეტია მიმართოს რესპუბლიკის პრეზიდენტს შემდეგი პეტიციითა: «ბ. პრეზიდენტო! ყოველს კეთილს მოქალაქეს დიდი მზრუნველობა აწვება იმ შემთხვევათა გამო, რომელნიც პალატათა ვაკაციების დროს მოხდენ; მათი დიდ-მნიშვნელობა და ის გავლენა, რომელიც შეუძლიანთ იქონიონ მომავალზედ, ყველას ძრიელ აფიქრებენ და აწუხებენ. რესპუბლიკაზედ მზრუნველობამ შეგვაერთა ჩვენ. ჩვენ მტკიცედ დარწმუნებულნი ვართ თქვენს მამულის სიყვარულზე და ამიტომ გიდგენთ განსახილველად ჩვენს აზრს, ჩვენთ რწმენათ და შიშს. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში საფრანგეთს ეს მეორედ აქვს ომი და არც ერთხელ ფორმალურად კი არ გამოუცხადებია იგი. როდის უნდა გათავდეს ეს ომაი? ხალხის წარმომადგენელთათვის არც ერთხელ არ წარუდგენიათ განმარტებული პროგრამა, ჯერ არაოდეს წინადვე არა სცოდნია ჩვენს ქვეყანას, რა გზაზე დააყენებს მას სამინისტრო. ომი პარლამენტის გადაუწყვეტლად დაიწყო; ყოველთვის პარლამენტს მხოლოდ მაშინ ეკითხებიან, როდესაც საქმის გასწორება აღარაფერით შეიძლება და ომი აუცილებლად ხდება. თუ კონსტიტუცია ომის გამოცხადებისათვის პარლამენტის გარდაწყვეტილებას თხოულობს, ცხადია ამავე გარდაწყვეტილებას თხოულობს მისი დაწყებისათვისაც, და რესპუბლიკის პატიოსნება ითხოვს, რომ თვით იყვეს ბატონი თავისი თავისა. აი ეს ორი წელიწადია, რაც პროგნული უფლება მკვიდრდება რესპუბლიკის მმართველობის ქვეშ იმისთანა ძალდატანებით და გამბედავობით, რომელნიც უადგილონი არიან იქ, სადაც საზოგადოებას ხმა აქვს. ეს მმართებლობითი სისტემა, რომლისთვისაც კონსტიტუცია მკვდარი ასოა, არ გვატყობინებს ჩვენ არც აზიისა და არც ევროპის საქმეებს. რას აკეთებენ იქ? საით მიგყევართ ჩვენ? — ამისი ჩვენს სრულიად არაფერი არა გაგვეგება-რა. ამას ჩვენ მხოლოდ მაშინ გვატყობინებენ, როდესაც შემთხვევანი ჩვენ ხელთ აღარ არიან. რესპუბლიკის პოლიტიკა, რომელიც უნდა იყოს გულწრფელი, აშკარა და პატიოსანი, არა ოდეს არა ჰფარავს თვის მოქმედებას და განზრახვათა. მმართებლობა, ვიდრემდის საქმეს შეუდგებოდეს, უნდა ჰკითხავდეს ხალხის წარმომადგენელთ — რა აზრისანი არიან ისინი ამ საქმეზე. ეს დაკითხება უორკეცებს ძალას სალდათებს ბრძოლისათვის და დიპლომატებს მოლაპარაკებისათვის. აი სწორედ ამისათვის ვითხოვთ ჩვენ პალატების მოწოდებას, რაიცა აუცილებლად საჭიროა ყოველს იმისთანა გარემოებაში, როგორს გარემოებაში ვიმყოფებით ეხლა. ჩვენ ვამაყობთ როგორც ჩვენის ზღვის ჯარის საქმეებით, აგრეთვე ხმელეთის ჯარის ღვაწლითაც; ჩვენ ვამპარტავნობთ ჩვენის ოფიცრებით და სალდათებითა. რესპუბლიკელნი, რომელნიც ზოგჯერ განცალკევდებიან ხალმე, როდესაც ლაპარაკი პოლიტიკაზეა, ერთობას გამოიჩენენ, როდესაც საქმე მთელი ხალხის პატიოსნებაზე და მის მცველებზე მიდგება. თქვენ, ბ. პრეზიდენტო, ხართ კონსტიტუციის მფარველი; კონსტიტუციამ მოგვათვისა ჩვენც ომისა და მშვიდობის საქმეში ზოგიერთა უფლებანი და პასუხის მგებლად გვხდის იგი. თქვენი დიდი პატიოსნება პოლიტიკაში რჩევას მოგვცემს ჩვენ».

ამ პეტიციაზე ხელი უწერია ყველას მაგიერად უკიდურესი მარცხენა მხარის პრეზიდენტს ბაროდეს. როგორც შემდეგ მოსული ამბებიდგან სჩანს, ეს პეტიცია კიდეც გარდაუციათ რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის.

თუ ვერწმუნებით ფრანცუზულს გაზეთებს, საფრანგეთში შეუდგენიათ კიდევ ერთი ქვეითი დივიზია, რომელიც, თუ საჭიროება მოითხოვს, მაშინათვე წავა ჩინეთში. ამ დივიზიაში იქნება 2,500 ზღვის ქვეითი ჯარის კაცი და 6,000-დგან 7,000 სალდათამდე არმიის სხვა-და-სხვა კორპუსებიდამ.

═

საბაასო

სიტყვას ბანზედ ნუ აგდებთ.

(ვასუხად ბატ. გაბიჩვაძეს).

ამ წინაზედ «დროებაში» დავბეჭდეთ კრიტიკული გარჩევა ბატ. ბაბიჩვაძის დედნისა. ჩვენ ყოველი მხარე გავუსინჯეთ მას და მივედით იმ დასკვნამდის, რომ იგი უცნაურად არის შედგენილი და გამოუსადეგარია სკოლებისთვის. დედნის ავტორი, თუ არ ეთანხმებოდა ჩვენს მსჯელობას, უნდა გამოსარჩლებოდა თავის ქმნილებას, აეხსნა საზოგადოებისათვის მისი პლანი, დაწყობილება, დანიშნულება, მოხმარება სკოლებში და გაემართლებინა იგი, მაგრამ მან ეს არ ინება. რატომ? იმიტომ, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო გამოსარჩლება. რა აზრი შეიძლება იპოვნოთ სრულიად მოუაზრებელს შრომაში, ან რა დაწყობილებას აღმოაჩენთ ალალ-ბედზედ შედგენილს დედანში? ბატ. ბაბიჩვაძეს ორში ერთი უნდა მოექმედა: ან გაჩუმებულიყო, ან ღობე-ყორეს მოსდებოდა. მან აირჩია უკანასკნელი გზა იმ განძრახვით, რომ როგორმე თავი დაეხწია, მაგრამ ამ საქციელით არამც თუ თავი არ დაალწია, უარესად გაება მახეში და მოიმხადა ცნობილი ფუტერ-აფიცრის ცოლის ბედი, რო-

მელმაც თავისი თავი თვითონვე გაროზგა.

თავდაპირველად ბატ. ბაბიჩევაძეს უნდა მოვახსენოთ, რომ მისი წყრომა ჩვენდამი, ცოტა არ არის, უსაფუძვლოა. თუ ჩვენი წერილი «დროების» ფურცლებზედ გაჩნდა, ეს მოხდა ორის პირის გადაწყვეტილობით, რომელნიც იმ დროს «დროების» redakciaში შრომობდენ და რომელთაც სიკეთის მეტი ბატ. ბაბიჩევაძისათვის არა სურვებიათ-რა და არც ეხლა ჰსურთ. ჩვენ მივეცით ამ ორ პირს ჩვენი წერილი და ვუთხარით: წაიკითხეთ, გასინჯეთ და თუ სამართლიანი და სასარგებლო გამოდგეს, დაბეჭდეთ, თუ არა და დახიეთ და ქარს მიეცით. დაბეჭდავთ, არ დაგიმადლებთ, არ დაბეჭდავთ და არ დაგემდურებით.

თუ ბატ. ბაბიჩევაძე საქმეს გონივრულად გასინჯავს, აღმოჩნდება, რომ როგორც ეს პირნი, ისე ჩვენ მადლობის ღირსნი ვართ და არა წყრომისა და რისხვისა. ჩვენი სკოლების მასწავლებელნი რომ სავსენიც იყვნენ ხათრით და შებრალებით ბატ. ბაბიჩევაძისადმი, მისი «დედნის» ხმარებას მაინცა-და-მაინც ვერ მოახერხებენ. ამიტომ რავდენიც ეს შეუძლებელი დედანი გადაუკეთებლივ ბევრი დაიბეჭდებოდა, იმდენად მეტი ზარალი მიეცემოდა avtorsაც და გამომცემელსაც. ჩვენ დროზედ დავანახვეთ შეცდომა დედნის avtorsა და მივეცით ღონის-ძიება დროზედვე შეეწყვიტნა ბეჭდვა, ზარალი შეემოკლებინა და ახლად შესდგომოდა თავის შრომის გაუმჯობესობას. სწორედ ესეთივე სამსახური გაუწია ორი წლის წინედ ბატ. ბაბიჩევაძეს ბატ. მირიანაშვილმა, რომლის კრიტიკული წერილის შემდეგ შესწყვიტა ბეჭდვა დედნისა და ხელ-ახლად შეუდგა მის შედგენასა. ბ. ბაბიჩევაძე მაშინ avtorsს სრულიადაც არ გასწყრომია, საქვეყნოდ მაინცა, და გეკვირს, ჩვენზედ რაღად მოიღო იმდენა რისხვა. ბანა ჩვენი მადლი—მადლი არ არის?

ძიდევ უფრო მომეტებულად საჭირო იყო სამართლიანი სიტყვის თქმა «დედნის» შესახებ სახალხო სკოლებისათვის. მათ რომ უკოდინაროობით ეს დედანი გამოეწერნათ, ან უკანვე უნდა დაებრუნებინათ და ან კუთხეში მიეგდოთ, რადგანაც პირველივე გადათვალიერებით დარწმუნდებოდენ მის გამოუსადეგრობაში. პირველს შემთხვევაშიაც და მეორეშიაც მიუცილებელი იყო ჩვენი დედნის დაბარება, და მიუცილებელი იყო იმიტომ კი არა, რომ იგი იყოს რაიმე კაკა და ვარდისახარი (ნაკლულევანება ძალიან ბლომად აქვს), არამედ იმიტომ, რომ მისი ხმარება სკოლებში შესაძლებელია. მაშასადამე, ჩვენი დედნის ბედი იოტის ოდენად არ შეიცვლებოდა იმის გამო, დაიბეჭდებოდა ჩვენი წერილი, თუ «დროების» პორტფელში დარჩებოდა ქვეყნის უხილავი. მისი დასტამბა, ვიმეორებ, სასარგებლო და საჭირო იყო მხოლოდ სკოლებისთვის და გამომცემელ-შემადგენელისათვის.

თავის წერილში ბატ. ბაბიჩევაძეს მოჰყავს ნაწყვეტი ჩვენი კერძო წერილიდგან, რისთვისაც ძალიან ნადლობელნი ვართ მისი. უფრო კიდევ მადლობელნი ვიქნებოდით, მთლად რომ დაებეჭდა წერილი. მაშინ უფრო ცხადი იქნებოდა, თუ როგორ ვეპყრობით ჩვენს კონკურენტებს და რა სახით გვეპყრობიან ისინი. ბატ. ბაბიჩევაძეს არ მოსწონს ჩვენი თავაზიანი ქცევა ბატ. ჯუღელისადმი და ამბობს, რომ ჩვენ მაშინვე უნდა გამოგვეცა დედანი, რადგანაც ბატ. ჯუღელის დედანი ჯლაბნის მეტს ვერას ასწავლიდაო. თქვენ ამ შემთხვევაში სკოლის ინტერესი შესწირეთ კერძო პირის ინტერესსაო.

ბ. ჯუღელის დედანი, თუმცა შრიფტის მხრით მდარე იყო, მაგრამ სხვა ფრივ კი რიგიანობა ეტყობოდა: ჩართული ჰქონდა გვარიანი სურათები, დაწყობილობა იყო ხერხიანი, შინაარსი საკმარისი და საზოგადოდ ნაბიჯის წინ-წადგმას შეადგენდა. ამასთან ეს შრომა იყო პირველი ცდა ახალ-გაზდა შემადგენელისა. ჩვენ რომ მაშინ არ დაგვეშალა გამოცემა ამ გვარივე დედნისა, რომელსაც უკვე ვადგენდით, არ დაეხმარებოდით და ხელი მოგვეცარა, მოსალოდნელი იყო, რომ მას შეეწყვიტნა თავისი შრომა სათავეშივე, ველარ გამოეცა ოთხი წიგნი წყრომისა და ველარ დაეწერა ზოგიერთა სკოლისათვის სასარგებლო წერილები და შენიშვნები. ამიტომ ჩვენგან თავაზიანს საქციელს მოითხოვდა არა მარტო ბ. ჯუღელის ინტერესი, არამედ უფრო მომეტებულად სკოლის სიკეთე. ბ. ბაბიჩევაძე ჩვენს ადგილას, რასაკვირველია, სხვა გვარად მოიქცეოდა: ხელ-და-ხელ შეხანხლავდა დედანსა, წვრილმან კონკურენციას გაუწევდა, ხელს შეუშლიდა, ძვირად დაუსვავდა, დაუგვიანებდა გამოცემას და თვითონაც უცნაურს და გამოუყენებელს რასმე გამოსცემდა,—ერთი სიტყვით, აზარალებდა თავის კონკურენტსაც, სკოლასაც და თავის-თავსაც.

საზოგადოდ ჩვენ ამ აზრისანი ვართ კონკურენციის შესახებ: თუ ვინმე შეუდგება წიგნის ან სხვა რომელსამე სამოსწავლო კუთვნილების გამოცემას, ჩვენ, თუნდაც რომ იმავე დროს ვადგეთ ამ გვარს შრომას და იმედიცა გვქონდეს უკეთესად შესრულებისა, მაინც ხელს არ შევუშლით და დავაცლით, რომ ერთი გამოცემა მაინც გაავრცელოს სკოლებში და საზოგადოებაში, რასაკვირველია, თუ ეს გამოცემა სასარგებლო იქნება. თუ წინაალმდეგს გზას დავადგით და ერთს ორს მოღვაწეს ხელი შევუშალეთ, ხარჯი და შრომა ცუდად ჩავუტარეთ, უეჭველია, ეს არა ერთს ყმაწვილს დაშინებს და აღარ გააბედვინებს პედაგოგიური ლიტერატურის ასპარეზზედ გამოსვლას და ამითი ჩვენს სკოლას მიეცემა აუარებელი ზარალი. ჩვენ არა მარტო ჯუღელის შესახებ ავირჩიეთ ეს გზა,—თვითონ ბ. ბაბიჩევაძესაც ამ გვარსავე თავაზიანობას ვუწევდით, ვიდრე არ დავრწმუნდით, რომ მისნი გამოცემანი უვარგისნი არიან ჩვენი სკოლებისათვის და სხვებსაც ვუწევთ. „ნობათის“ მსგავსი გამოცემა ჩვენც კი გვქონდა დაწყებული, მაგრამ მის გაგრძელება შევაჩერეთ იქამდის, ვიდრე ეს სასარგებლო გამოცემა არ მოიპოვებს ხუთასს წლიურს ხელის-მომწერს მაინც და მტკიცე ნიადაგზედ არ დასდგება. არითმეტიკის პირველი წლის კურსი უკვე გათავებული გვქონდა, როდესაც შევიტყეთ, რომ ერთი განვითარებული და საიმედო პირი შესდგომია ამ საქმესა. ჩვენ მაშინვე შევაჩერეთ ჩვენი შრომა და გადავწყვიტეთ, რომ არამც თუ წვრილმანი კონკურენცია არ გავუწიოთ, კიდეც ხელი მოვუმართოთ, თუ ეს საჭირო იქნება. ჩვენ შეგვეძლო სხვა ფაქტებიც დაგვესახელებინა, მაგრამ აქედგანაც ცხადად სჩანს, თუ რა გზას ვადგივართ გამომცემლობაში.... ერთმანეთის დახმარებას, შეერთებულს შრომას, ხელის მომართვას შეუძლიან დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს პედაგოგიურს ლიტერატურას, გაამდიდროს იგი და ააღორძინოს. ინტრიგა, წვრილმანი კონკურენცია, ერთმანეთის ხელის მოშლა კი მას დიდად დაابრკოლებს და არც თვითონ ამ აზრის მიმდევარს პირებს დააყრის ხეირსა.

საკვირველი ის არის, რომ ბ. ბაბიჩევაძე გვირისხდება იმისათვისაც, რატომ ბ. ჯუღელს კონკურენცია არ გაუწიეთო, და იმიტომაც, კონკურენციას რად მიჰყევით და რად გაარჩიეთ ჩვენი დედანიო. ბამოდის, რომ თუ კონკურენცია სხვის წინააღმდეგ არის მიქცეული—მშვენიერი რამეა და თუ ბ. ბაბიჩევაძეს შეეხება—საძაგლობაა. ახირებული ლოგიკაა, განა? ჩვენს საქციელს მაშინაც საკმარისი საფუძველი ჰქონდა და ახლაც აქვს. თუმცა ბ. ბაბიჩევაძემ თავისი დედანი ბ. ჯუღელზედ ექვსი წლის შემდეგ გამოსცა, მაგრამ უკან კი ჩამორჩა. მეორის დედანი, რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონოდა, მაინც და მაინც გამოსადეგი იყო სკოლებისათვის, პირველისა კი—უცნაური და გამოუსადეგარი. რავდენადაც თავაზიანობა საჭირო და სასარგებლო იყო პირველს შემთხვევაში, იმდენად სიმართლის თქმა—მეორეში.

ბატ. ბაბიჩევაძე ჩვენს კრიტიკას რაცხს გაჯავრების შედეგად და უსამართლოდ. ერთი ფაქტის დასახელებით ჩვენ აშკარად დავანახვებთ მას, რომ ძლიერ შემცდარია. პირველი მისი დედანი ბევრით სჯობდა მეორესა,—ამას აღვიარებენ თვით მისი მეგობრები, და დამტკიცებაც ადვილია. საკმარისია მოვიხსენოთ, რომ პირველი დედანი მეორე წლისათვის მაინც გამოდგებოდა ვაინაჩროობით, და მეორე კი არც პირველისათვის არის ვარგისი და არც მეორისათვის. პირველი დედანი გაარჩია ბატ. მირიანაშვილმა, რომელსაც არავითარი სადაო არა ჰქონდა ბატ. ბაბიჩევაძესთან და სიკეთის მეტი მისთვის არა სურდა-რა,—და რა სთქვა? აღმოაჩინა მხოლოდ ორი ღირსება: თეთრი ქაღალდი და სუფთა ლიტოგრაფია, სხვა ყველაფერი დაიწუნა. ჩვენ გავარჩიეთ მეორე უარესი დედანი და ზოგიერთა წვრილმანი ღირსებანი გამოვჩხრიკეთ, მაშასადამე... თუ ბატ. ბაბიჩევაძე, ან სხვა რომელიმე პირი დაგვიმტკიცებს ჩვენი კრიტიკის უსაფუძვლობას და გვიჩვენებს, რომ მისი „დედნის“ გონიერული ხმარება შეიძლება სკოლებში, ჩვენ არამც თუ ხელს ავიღებთ ჩვენი «დედნის» შემდეგს გამოცემაზედ, და სრულიად დავუთმობთ ამ ადგილს ჩვენს კონკურენტს, არამედ ვეცდებით ყოველ გვარი გონებითი, ზნეობრივი და ნივთიერი შემწეობა აღმოვუჩინოთ. წინაალმდეგს შემთხვევაში მხოლოდ სირცხვილი იყოს სასჯელი ბატ. ბაბიჩევაძისა.

დასასრულს ორიოდე სიტყვას ვიტყვით ბატ. ბრიქუროვის მონოპოლიაზედ ჩვენი წიგნების გამოცემის შესახებ. პირველად უნდა მოგახსენოთ, რომ ბატ. ბრიქუროვს არ შეიძლება ნამდვილი გამომცემელი დავარქვათ ჩემი წიგნებისა. ეს რომ ასე იყოს, მე თბილისში ივნის-ივლისში აღარ დავიხრაკებოდი, ჩავაბარებ_ი მას ნაწერებსა და გავსწევდი ბრილი აგარაკებისაკენ ზაფხულის დამდეგს, როგორც ამას სჩადიან ყველა ცოტაოდნად თავისუფალნი პირნი. ბატ. ბრიქუროვი უფრო კრედიტორია ჩვენი, რომელიც ფულს გვაძლევს ვალად და ჩვენ ვალს ვიხდით წიგნებითა. როგორც განათლებული კაცი, უმაღლესს სასწავლებელში ნასწავლი, იგი თანაუგრძნობს ქართულს საზოგადო საქმეებსაც, მონაწილეობას იღებს, მაგალითად, ბ. წინამძღვრიშვილის სამეურნეო სკოლის ბედში, სჯერდება ზომიერს სარგებელსა და საზოგადოდ პატიოსნად იქცევა. იგი ყოველთვის მზად არის მოგვცეს ღონისძიება ყოველი წიგნის გამოცემისათვის, რომელსაც კი შეავადგენთ, ხარჯავს წელიწადში ექვსას-შვიდს თუმანსა ჩვენს წიგნებზედ და სრული ნდობა აქვს ჩვენი. ამისთანა გამომცემელს ბევრი პირი ეძებს, ნატრულობს და ჩვენ რად გვაყვედრიან, არ გვესმის. რა საკვირველია, კარგი იქმნებოდა, რომ რომელსამე პატიოსანს და შემძლებელს ქართველს ეკისრნა ჩვენი წიგნების გამოცემა; მაგრამ წლევანდლამდის ამ გვარი პირი არ აღმოჩენილა. «წერა-კითხვის საზოგადოებას» არა ერთხელ განეუცხადე სურვილი ჩვენი წიგნების გამოცემის უფლების გადაცემისა იმავე პირობით, რა პირობითაც აბეჭდვინებს მათ ბატ. ბრიქუროვი; მაგრამ მმართველობამ ეს ვერ შესძლო, ფულის ნაკლებულობის გამო. ახლა კი აღმოჩნდა ერთი დიდად პატივცემული და შემძლე ქართველი, რომელსაც განზრახვა აქვს, ერთი წლის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ, იკისროს ყველა ჩვენი წიგნების გამოცემა და, რაც წმინდა მოგება დარჩება, მოახმაროს ქართულ ენაზედ სხვა-და-სხვა სახელმძღვანელოების და საკითხავი წიგნების გამოცემას. ჩვენ, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით და მადლობით მივეგებებით მის განძრახვას და ჩვენის მხრით ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რომ გავუადვილოთ ეს საქმე...

იაკობ გოგებაშვილი.

სურამი.

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის საგენტოსი")

სექტემბრის 4-ს

კიახტა. საფრანგეთისა და ჩინეთის შორის ომს ვნება მოაქვს კალგანის ვაჭრობისათვის; ბეწვეულობას ადარავინა თხოულობს, მაგრამ მონგოლიიდამ ჩაი დაუბრკოლებლივ მოდის.

ლონდონი. ბრიტანიის ელჩად ბერლინში დანიშნულია ახლანდელი ელჩი ბრიუსელში მალეტი.

ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

გამომცხვარი ბური რუსეთის ფქვილისა	—1	გირ.	5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის სარისხისა	—1	გ.	$2^1/_2$
მეორისა	—1	გ.	2 კ.
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:			
პირველი სარისხის	—1	გ.	$4^1/_2$
მეორისა	—1	გ.	3 კ.
მესამისა	—1	გ.	$2^1/_2$
ჯვარის-მამი ბური:			
პირველი სარის. ლაკაში	1	გ.	$4^1/_2$
მეორის სარის. ლაკაში	1	გ.	$3^1/_2$
მესამისა	—1	გ.	3 კ.
ძროხის ხორცი:			
პირველის სარისხისა	—1	გ.	7 კ.
მეორისა	—1	გ.	6 კ.
სუკი	—1	გ.	14 კ.
ცხვრის ხორცი	—1	გ.	7 კ.
ღორის ხორცი:			
პირველის სარისხისა	—1	გ.	— კ.
მეორისა	—1	გ.	— კ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო საშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ ⁊ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო საშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (ბარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

ვანცხადებანი

ახლად გახსნილი

სამეხანიკო ქარხანა

„სოფლის მეურნე"

ბადმოვიდა ახალს სადგურში ბოლოვინის პროსპექტზე № 11, სახლი რეიტერისა (სადაც უწინ იყო «Общество Бережливости»). (5—1)

ძმ. ჭილაძეთა წიგნის მაღაზიამ ქუთაისში.

მიიღო ყოველგვარი ქართული და რუსული წიგნები, რვეულები, დაფები და კანცელიარული მასალები. (5—3)

თბილისის სამეურნეო საზოგადოების სამმართველოში ისყიდება ახალად დაბეჭდილი წიგნი:

აბრეშუმის ჭიის მოშენება

შედგენილი

არჩილ დარეჯანაშვილისგან

ფასი 15 კაპ. (2—2)

LA VÉRITABLE SALSEPAREILLE COLBERT

(ნამდვილი სალსეპარეილი)

არჩენს სისხლის ყოველსაგვე უწმინდურებას და ავადმყოფობას. უფთხილდით მიმბაძავთ. მტიკეტზე უნდა იყოს წითლად მოწერილი J. PLATEAU. ფაბრიკის ნიშანი წარდგენილია. რომ არ მოსტყუვდეთ, მიმართეთ უფრო ს. ზურიკოვს და შახპარონიანცს. (8—6)

პანსიონი ა. მირზაშვილისა.

ბადავიდა ელიზავეტინსკის ქუჩაზედ, ტერ-საკოვის სახლებში, № 114.

მოწაფეთ მიღება სექტემბრის 1-დგან დაიწყობა. (10—7)

არწრუნისეულ ჟარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—1)

ძეთიაქი

აივაზოვისა გადავიდა ერევნის მეიდანზე ქალაქის სახლში.

(10—8) არენდატორი მ. ალმუროვი.

გამოდგება

ცალკე წიგნად

სამგზავრი სიყვარული

მოთხრობა

ავტორი წერეთლისა

(„დროების" რედაქციის გამოცემა.)

ფასი 30 კაპ.

(კანტორა ეზ ზემოდ ბოლოზედ მეტს იყიდის ერთობ ბლად, 10% დაკლებას.)

წიგნი ისყიდება თბილისში ბაქოვ-ბოდის წიგნის მაღაზიაში, შაგნერ-ბოდის საავეტოლში და ჩარკვიანის მაღაზიაში. ქუთაისში ბოლოქმების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათიძესთან, თელავში, საზოგადოების დუქანში. ქრთბაშად ყიდვა ეფიდ ლეგა აგრეთვე «დროების» რედაქციაში. (10—5)

შენახვა ჩრჩილისა და ბუზანკალისაგან.

ნაფტალინი (ქაფური) ჩრჩილის გამწყობი წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. ჰომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, ბლიანც-სახამებელი, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან თბილისში, საფთიაქო საქონლების სავაჭრო ძაკასიის ამხანაგობაში. (70—53)

საგლობუსო PATENT ... CLOSE POINTED PEN კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «სელისათვის» —25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაგანიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამაგრებლები, სანთელი, სალესი, ცარაშვები ჯურნალის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები ალტაკისათვის, ლიონკები, ტახტები, საკარმლები, სარკეები, საკარტლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კოპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები, ბრობკები, სპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ტხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

კატალუკი—20 კ. (100—5)

ვისრამიანი

და

განდეგილი

პოემა თ. ი. ჭავჭავაძისა

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში, სადაც ყურნალ „ივერიის" რედაქციაა. (სიმონიანოვის ქუჩა, ნაზარეოვის სახლი 1-ლი გიმნაზიის უკან.)

ფასი „ვისრამიანისა" 1 მან. 50 კ.
გაგზავნით — — — 1 მან. 70 კ.

„განდეგილისა" — „ 15 კ.
გაგზავნით — — — — — 20 კ.

წიგნის მაღაზიებს ნაკლებად დაეთმობათ. (10—7)

კბილის ექიმი

ბ. არნშტეინი

მიიღებს ავადმყოფებს დილით 10-საათიდამ საღამოს 6-ს საათამდე ბოლოვინის პროსპექტზედ, მირზოევის სახლში, რომელიც უწინ ბელოისა იყო. (10—10)

Дозв. цензъ. Тифлисъ, 4 Сентября 1884 г. სტამბა არ. ალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.